KA030180609787018

№ 01-4986/ს **16 / ნოემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მ/შ ბატონ ზაზა ბოხუას

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელძღვანელის მ/შ თამარ ბასილიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ მ/წ 20-22 ნოემბერს ქ. მინსკში დაგეგმილია II რეგიონალური თათბირი, რომლის ფარგლებშიც ხელი ეწერება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების ჯანდაცვის სამინისტროების მინსკის განაცხადის პროექტს "ხარისხიანი და არაძვირადღირებული წამლებისა და დიაგნოსტირების მეთოდების ხელმისაწვდომობის გაფართოება".

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეული ბრძანდებით თქვენ, სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილე პაატა ბუკია, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი ნათია ნოღაიდელი და ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ია ყამარაული.

ვიზიტთან დაკავშირებულ ხარჯებს (სასტუმრო, მგზავრობა და დღიური ნორმა) ანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას თქვენთვის მიმდინარე წლის 19 ნოემბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით და დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

თამარ ბასილია